პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979
წელი
შაბათი
16
ივნისი
№ 138
(17483)
□
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Გუშინ გაიმართა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია, რომელზედაც ერთ-ერთ საკითხად განიხილეს—1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ.

დეპუტატებმა დასახეს გზები იმისათვის, რომ ნორჩი თაობა ჯანმაგარი იზრდებოდეს და ყოველმხრივ ივითარებდეს უნარსა და ნიჭს.

ბავშვებისათვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია

ბავშვები კაცობრიობის იმედი, მისი მომავალია. ბავშვებისათვის ზრუნვა საბჭოეთმა შექმნის პირველი დღეებიდანვე გამოაცხადა სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპად. „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“ — დიდი ოქტომბრის გამარჯვებისთანავე გამოცხადებული ამ დევიზის ერთგულნი ვართ დღესაც. როცა ავაშენეთ მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, ბავშვებისათვის, ოჯახის განმტკიცებისათვის, დედათა და ბავშვთა დაცვისათვის ზრუნვა საკანონმდებლო წესით არის დამკვიდრებული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

მიმდინარე წელი განსაკუთრებულია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იგი ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ამ წლის პირველივე დღეს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მთელ მსოფლიოს მოეფინა მისი შესანიშნავი სიტყვები: „საბჭოთა კავშირში ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენეთ და კვლავ ვაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ იცხოვრონ კეთილმეზობლურად ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ყველა ადამიანთან, ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ“.

ასეთია ჩვენი ცხოვრების წესის ნორმა. უფართოესი თვალსაზრისით აღზრდის საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მკაფიო მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ყოველნაირად უნდა განმტკიცდეს ოჯახის, სკოლისა და საზოგადოებრიობის კავშირი.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ყველა პირობაა შექმნილი ბედნიერი ბავშვობისათვის, იმისათვის, რომ ნორჩი თაობა ფიზიკურად ჯანმაგარი იზრდებოდეს, ყოველმხრივ ივითარებდეს უნარსა და ნიჭს. დღეს ჩვენი ბავშვების განკარგულებაშია 3.785 დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 177 სპეციალური — მუსიკალური, სამხატვრო და ქორეოგრაფიული, 149 სპორტული სკოლა. რესპუბლიკაში ორი ათასზე მეტი სკოლამდელთა დაწესებულებაა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ეს ციფრი მეორის ფონზე — 1921 წელს სულ 22 ასეთი დაწესებულება გვქონდა. ჩვენს საბავშვო ბაღებსა და ბაგებში პატარები გარემოსილი არიან მზრუნველობით და ყურადღებით, ყველა პირობა აქვთ შექმნილი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის. სწორედ აქ ეყრება საფუძველი მომავალი მოქალაქის ხასიათს, აქ გამოუმუშავდება მას შრომის, სამშობლოს სიყვარული.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დღენიადაგ ზრუნავენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობა, გაფართოვდეს მათი ქსელი, გაუმჯობესდეს კვების ორგანიზაცია და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ამაღლდეს აღმზრდელობითი მუშაობის დონე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ამ საკითხების სოციალური მნიშვნელობა და რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის განსახილველად შეიტანა საკითხი სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ. მან მშრომელებს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას მიმართა თხოვნით თავიანთი აზრი გამოთქვან სესიის განსახილველად შემოტანილი პრობლემების გამო. ყველა კონკრეტულ შენიშვნას, წინადადებასა და სურვილს, რომლებიც სესიას მოუვა, გულდასმით შეისწავლიან, გააანალიზებენ და განაზოგადებენ.

15 ივნისს დილის ათ საათზე მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები — **ზ. ო. ვახაძე, ნ. ვ. გურგენიძე, თ. შ. კაბულოვა, ო. ნ. კარბა.**

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. ხანაკოევი, ჟ. ქ. შარტავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ**, რომელმაც თქვა, რომ დღეს ვენაში იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის მოლაპარაკება, რომლის დროს ხელს მოაწერენ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მან საბჭოთა დელეგაციას, მის მეთაურს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უსურვა წარმატებული, ნაყოფიერი მუშაობა ამ მოლაპარაკებაზე.

სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **დ. დ. მალალაშვილს**, რომელმაც გააკეთა მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ. დეპუტატებმა ერთხმად ცნეს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება **ს. ე. ხაბეიშვილისა** — ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის № 67 „საქჰიდროენერგომშენის „საარჩევნო ოლქში, **ვ. ო. კობახიასი** — სოხუმის რაიონის ბესლეთის № 348 საარჩევნო ოლქში, **ა. დ. ალექსიძისა**— კასპის რაიონის ახალქალაქის № 83 საარჩევნო ოლქში, **გ. ა. ანდრონიკაშვილისა** — წითელწყაროს რაიონის № 182 წითელწყაროს საარჩევნო ოლქში, **დ. ლ. ქართველიშვილისა** — ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის ტელმანის № 18 საარჩევნო ოლქში, **გ. ი. ბუეტაძისა** — ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქში, **ა. მ. ბარაბაძისა** — სამტრედიის რაიონის საჯავახოს № 268 საარჩევნო ოლქში.

ამტკიცებენ სესიის მუშაობის დღის წესრიგს, რომელშიც შეაქვთ შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და პრეზიდიუმის შემადგენლობის ცვლილებათა შესახებ.
2. 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების თაობაზე საქართველოს სსრ კანონების შესახებ.
4. ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე და მეთერთმეტე სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამტკიცებენ სესიის მუშაობის რეგლამენტს.

დეპუტატები იწყებენ დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ლ. ბ. მარშანიას**, აფხაზეთის ასსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დავალებით მას წინადადება შემოაქვს გაათავისუფლონ ამხ. ბ. ვ. შინკუბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიონ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვალერიან ოსმანის ძე კობახია.**

უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად აძლევს ხმას ამ წინადადებებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი **ბ. თ. ლობჟანიძე** შეყვანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, თავმჯდომარის წინადადებით დეპუტატებმა იგი გამოიყვანეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **გ. დ. გაბუნია** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების გამო დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ო. დ. ქინქლაძე** (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყიბული), **ი. თ. თოდუა** (დარჩელის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), **ს. ქ. ზიაბლიცინა** (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი), **მ. ნ. კობახიძე** (ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), **ნ. ნ. ნეფედოვი** (ბარათაშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), **გ. ბ. გოგიტიძე** (ხულუბნის საარჩევნო ოლქი, ქობულეთის რაიონი), **რ. გ. ურჯუმელაშვილი** (ყვარლის საარჩევნო ოლქი, ყვარლის რაიონი), **ნ. ი. ჯოხაძე** (ქავთავაძის

(დასასრული მე-8 გვ.).

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის სხდომა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ვენაში გაემგზავრა

15 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კარტერთან შესახვედრად მოსკოვიდან ვენაში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. შეხვედრის დროს ხელი უნდა მოაწერონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას, აგრეთვე გაიმართება აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი ურთიერთობის პრინციპულ საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ვენაში გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ნ. ვ. ოგარკოვი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აეროპორტში გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. პელშემ, მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ვ. ი. დოლგიხმა, კ. ვ. რუსაკოვმა, მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. პ. ბუგაევმა, ვ. თ. მალცევმა, გ. ს. პავლოვმა, ნ. მ. პეგოვმა, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა ს. კ. ცვიგუნმა, გ. კ. ცინევმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა ა. ი. ბლატოვმა, კ. მ. ბოგოლიუბოვმა, ი. მ. ჩურბანოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ა. გოლიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტმა ე. მ. სამოტეიკინმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ვენაში გაფრინდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ვ. გ. კომპლექტოვი, ა. პ. ბონდარენკო, ი. ნ. ჩერნიაკოვი.

გამცილებელთა შორის იყო ავსტრიის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვ. ზიგლი.

მოსკოვი. სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევი ვენაში ჩავიდა

ვენა, 15 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი დღეს ავსტრიის დედაქალაქში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კარტერთან შესახვედრად.

ლ. ი. ბრეჟნევს ჩამოჰყვნენ ა. ა. გრომიკო, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ვ. ოგარკოვი.

სსრ კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო ალმებით მორთულ შვეჰატის აეროპორტში ლ.ი. ბრეჟნევს თვითმფრინავის კიბესთან დახვდნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რ. კირხშლეგერი, ფედერალური კანცლერი ბ. კრაისკი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. პარი, ავსტრიის მთავრობის სხვა წევრები. დამხვდურთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში მ. ტ. ეფრემოვი, საბჭოთა კავშირის ვენის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მრავალი ჟურნალისტი.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა ლ. ი. ბრეჟნევს. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო ჰიმნები. ლ. ი. ბრეჟნევმა და რ. კირხშლეგერმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

აეროდრომიდან ლ. ი. ბრეჟნევი და მასთან ერთად ჩამოსული საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტით რეზიდენციაში გაემგზავრნენ.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჯ. კარტერი შეხვდნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს რ. კირხშლეგერს

15 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი ვენის ჰოფბურგის სასახლეში ეწვივნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტ რ. კირხშლეგერს.

ავსტრიის პრეზიდენტი მიესალმა საპატიო სტუმრებს და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ვენაში ხვდებიან ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები. მან აღნიშნა, რომ ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს ეს მიაჩნიათ მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დადებითი როლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში მისი წვლილის აღიარებად. პრეზიდენტმა რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ახალი ხელშეკრულების დადება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ იმპულსს მისცემს დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ განვითარებას, მათ შორის სამხედრო დარგშიც.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ჯ. კარტერმა მადლობა გადაუხადეს ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის ვენაში მოწყობის შესაძლებლობისათვის, გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც მათ ნეიტრალური ავსტრიის დედაქალაქში გაუწიეს.

საუბარში მონაწილეობდა ფედერალური კანცლერი ბ. კრაისკი.

საუბარს ესწრებოდნენ აგრეთვე ელჩები ავსტრიის რესპუბლიკაში: საბჭოთა კავშირისა — მ. ტ. ეფრემოვი და ამერიკის შეერთებული შტატებისა— მ. ა. ვოლფი. (საქდესი).

დამთავრდა დოკუმენტის მომზადება

ჟენევა, 15 ივნისი. (საქდესი). გუშინ ჟენევაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა დაამთავრეს მუშაობა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების ტექსტზე.

ღრმა პატივისცემის ნიშნად

ვენა, 15 ივნისი. (საქდესის სპეც კორ.). ავსტრიის დედაქალაქის ცენტრში შვარცენბერგპლაცის მოედანზე აღმართულია ნაცისტური უღლისაგან ევროპის განთავისუფლების ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

დღეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ძეგლის კვარცხლბეკი შეამკო გვირგვინით, რომელზეც ეწერა: „სამშობლოსათვის და ფაშიზმისაგან ევროპის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ საბჭოთა მამულიშვილებს“.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ა. გრომიკომ, დ. თ. უსტინოვმა, კ. უ. ჩერნენკომ, ნ. ვ. ოგარკოვმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გმირთა ხსოვნას.

ამავე დღეს ლ. ი. ბრეჟნევმა გვირგვინით შეამკო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ ავსტრიელ მოქალაქეთა ხსოვნის მემორიალი. გვირგვინზე წარწერილი იყო: „ავსტრიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ“.

გვირგვინებით შემკობის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის სახელმწიფო ჰიმნები.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრო ავსტრიის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ო. რეში.

ურთიერთდახმარების საბჭოში

26 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომა.

მიღწეული მორიგების შესაბამისად, სესიის სხდომა გაიმართება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონეზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1979 წლის 15 ივნისს 49 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მუშათა კლასის წარჩინებული წარმომადგენელი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი, სკკპ წევრი 1951 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირი

ვლადიმერ ალექსის ძე ასათიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი რომ იყოს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ ზ. ა. პატარიძის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო დეპუტატებო!

ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

განსაზღვრავდა რა კომუნისტური საზოგადოების ძირითად დამახასიათებელ თვისებებს, მარქსი მიუთითებდა, რომ კომუნისტური საზოგადოების უზენაესი მიზანია ყოველმხრივ და ჰარმონიულად განავითაროს პიროვნება, რომელშიც ფიზიკური სრულყოფა შეხამებული იქნება მაღალ განათლებასთან, ფართო კულტურა — შრომისმოყვარეობასთან, კეთილშობილური მორალური თვისებები — მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობასთან. ახალი ადამიანის ფორმირებას, მის ყოველმხრივ განვითარებასა და მომზადებას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კომუნიზმის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნევდა.

კომუნიზმის შეგნებული და აქტიური მშენებლების თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის დიდაარსს წარმოადგენს. მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, მათი ცხოვრების ეკონომიკური და კულტურული პირობების განუხრელი ამაღლებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობაც, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ამოცანები და დასახა მათი განხორციელების კონკრეტული გზები.

განუხრელად ხელმძღვანელობს რა პარტიული ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობის მართვის მეცნიერულად დასაბუთებული ლენინური პრინციპებითა და მეთოდებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცედ დარაზმა რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. ამ დიდი, მიზანსწრაფული მუშაობის შედეგია ის, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ დაძლია ეკონომიკის დარგებში ჩამორჩენა და ამ ბოლო წლებში მტკიცედ აღწევს მოწინავე მიჯნებს მატერიალური წარმოებისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

საბჭოთა ადამიანის ფორმირების, კომუნისტური მსოფლმხედველობით მისი აღზრდის რთულსა და მრავალმხრივ პროცესში უპირველესი როლი მოზარდი თაობის აღზრდას განეკუთვნება. ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა — აი აღზრდის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კერები, სადაც ბავშვი პირველად ეზიარება კომუნისტური მორალისა და ეთიკის ძირითად პრინციპებს, სადაც იგი პირველად იძენს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩვევებს, ეუფლება პატიოსნების, სიმართლის, ჰუმანურობის, ურთიერთპატივისცემის საწყისებს. განსაკუთრებულია სკოლამდელი ასაკი — ეს არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარების ყველაზე ინტენსიური ხანა, პიროვნების პირველადი ჩამოყალიბების პერიოდი.

სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მოწოდება მხოლოდ მოზარდი თაობის აღზრდით არ შემოიფარგლება. ისინი ამავე დროს აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ მეტად მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაში. საქმე ეხება ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ფართო ჩაბმას და, რაც მთავარია, მათი საოჯახო საქმიანობის შემსუბუქებას. ეს ამოცანა წლითიწლობით მით უფრო აქტუალური ხდება, რაც უფრო მატულობს ქალის წვლილი მატერიალური წარმოების სფეროში.

საბჭოთა სახელმწიფოში ქალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მისი ინტერესების დასაცავად იმდენი რამ გაკეთდა და კეთდება, რამდენიც არ გაკეთებულა და არც შეიძლება გაკეთდეს არც ერთ, თუნდაც ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. მაგრამ ჯერ კიდევ ლენინი მიუთითებდა, რომ ქალი, მიუხედავად მრავალი „განმათავისუფლებელი“ კანონისა, „შინაურ მხევლად“ რჩება მანამ, სანამ იგი მიჯაჭვულია საოჯახო მეურნეობაზე, რაც ავიწროებს მის შესაძლებლობებს. ამიტომ ქალის ინტელექტუალურ და ფიზიკურ ძალთა სრული და ყოველმხრივი ამოქმედების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პირობად ვლადიმერ ილიას ძე საბავშვო ბაგებისა და ბაღების შექმნას მიიჩნევდა.

დიდი ლენინის ეს მითითება ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება. საზოგადოებრივი აღზრდის სისტემის პრინციპები, იდეურ-პოლიტიკური შინაარსი, ორგანიზაციული ფორმები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განუხრელად მტკიცდება, ვითარდება და სრულყოფილი ხდება. საკმარისია ითქვას, რომ დღეს საბჭოთა კავშირში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში 13 მილიონ აღსაზრდელს ემსახურება.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენს რესპუბლიკაშიც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში ეს საქმე „ნულოვანი ციკლიდან“ დაიწყო, საქართველოში ახლად შექმნილ საბჭოთა ხელისუფლებას ამ დარგში მემკვიდრეობით რეალურად არაფერი მიუღია. სკოლამდელთა აღზრდის სისტემამ რესპუბლიკაში მხოლოდ 1921 წლის შემდეგ იწყო ჩასახვა და განვითარება. მარტო ამ ერთ წლიწადში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 30 საბავშვო ბაღი გაიხსნა. დღეს საქართველოში მოქმედ საბავშვო ბაგა-ბაღთა რაოდენობა 2100-ს აღემატება.

ამხანაგებო!

თქვენ იცით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული. ამ გადაწყვეტილების მიზანია სახელმწიფოებისა და ხალხების, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს ბავშვობის გადაუჭრელ პრობლემებს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარების ასპექტით.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინათ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების ინიციატივით მიღებული „ბავშვის უფლებათა დეკლარაცია“ კაპიტალისტური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების მილიონობით ნორჩი მოქალაქისათვის მხოლოდ დაპირებად რჩება. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა ამ ქვეყნებში ბავშვთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის, შიმშილობის, სიკვდილიანობის მონაცემები.

საყოველთაოდ ცნობილია და მტკიცებას არ მოითხოვს ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფოში ბავშვის ინტერესები უმაღლეს დონეზეა აყვანილი. საბჭოთა ადამიანებისათვის, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობისათვის არ არსებობს უფრო დიდი და უფრო კეთილშობილური საზრუნავი, ვიდრე ბავშვის ჯანმრთელობა, ბედნიერება, აღზრდა და განვითარება. ყველა ჩვენგანს ღრმად ჩაწვდა გულში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახალწლო მისალმება ბავშვებისადმი, რომელიც მოზარდ თაობებზე ზრუნვით, მამობრივი სიყვარულით იყო გამსჭვალული. „საბჭოთა კავშირში, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი იყოს. ჩვენ ავაშენეთ და კვლავაც ავაშენებთ ათასობით ნათელ, მოხერხებულ საბავშვო ბაგას, საბავშვო ბაღს, სკოლას. ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს ვასწავლოთ სიკეთე, მეგობრობა,... შრომის პატივისცემა და შრომა ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ“.

ბავშვებზე, მათს ბედნიერებაზე, მათს აწმყოსა და მომავალზე, აღზრდასა და განათლებაზე ზრუნვა მსოფლიოში გაჩაღებული მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამას მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის შეხვედრა, რომელიც დღეს იწყება ვენაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ სახსრების 10 პროცენტით შემცირება, რომლებიც დღეს გამალებულ შეიარაღებას ხმარდება, ბავშვების აღმზრდელობითი ღონისძიებებისათვის, შესაბამისი მატერიალური ბაზის შექმნისათვის მათი გამოყენება 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა, რომ საჭირო რაოდენობით აშენებულიყო სკოლამდელთა დაწესებულებანი მსოფლიოს ყველა 100-ათასიან და მეტი მოსახლეობის ქალაქში.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 2103 სკოლამდელთა დაწესებულებაა — 1794 საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი და 309 საბავშვო ბაგა, სადაც ირიცხება 161 ათასამდე ბავშვი, აქედან ქალაქად — 119400 და სოფლად — 41500. 1960 წლიდან დღემდე ბავშვთა რიცხვი სკოლამდელ დაწესებულებებში 2,8-ჯერ გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით ინტენსიური იყო უკანასკნელ წლებში და მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. თუ მეცხრე ხუთწლედში ბავშვთა კონტინგენტის მატებამ სკოლამდელთა დაწესებულებებში 27 ათასი შეადგინა, მეათე ხუთწლედის ბოლოს იგი 38 ათასს მიაღწევს. მიმდინარე ხუთწლედში სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობას მოხმარდება 41 მილიონი მანეთი — 10 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სისტემატური ზრუნვისა და ყურადღების საგრძნობი შედეგია.

ბოლო წლებში ინდუსტრიული მშენებლობის, მსხვილი სამრეწველო საწარმოთა განვითარების პროცესი მეტად კარგი, საჭირო ღონისძიებით აღინიშნებოდა — სამრეწველო მშენებლობის პარალელურად ხორციელდებოდა საწარმოთა კოლექტივების სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმებიც, რაც, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ ამ დროს სკოლამდელთა მრავალი დაწესებულება აშენდა. ეს კარგი ტრადიციაა და მის ფართოდ დანერგვას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, იგი მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სადაც მიმდინარეობს და გათვალისწინებულია ინდუსტრიული მშენებლობა.

როგორია მდგომარეობა სოფლად?

ბოლო წლებში რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით იხსნება სეზონური საბავშვო ბაღები. ბევრგან შემდგომ ნაბიჯსაც დგამენ და სეზონური ბაღების ბაზაზე მუდმივმოქმედ საბავშვო დაწესებულებებს ქმნიან. ამ მხრივ მისასალმებელია ქობულეთის რაიონის ინიციატივა, სადაც უკანასკნელ წლებში ბევრ კოლმეურნეობაში სეზონური ბაღები მუდმივმოქმედად გადაკეთდა. ამავე დროს აქ განახევრდა ბავშვთა კვების გადასახადი, რის შედეგადაც, ბუნებრივია, ბაღებში გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა, რასაც მოჰყვა ქალთა გააქტიურება საზოგადოებრივ შრომაში და მათი შრომის ნაყოფიერების საგრძნობი ზრდა. ამ კარგ თაოსნობას უკვე გამოუჩნდა მიმდევრები. მუდმივმოქმედი საკოლმეურნეო საბავშვო ბაღების რიცხვი ქობულეთის რაიონში ამჟამინდელი 9-დან 1980 წელს 20-მდე გაიზრდება, ხოლო უახლოეს წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 64 მუდმივმოქმედი საკოლმეურნეო სკოლამდელი დაწესებულება გაიხსნება.

შესანიშნავი წამოწყება განხორციელდა ზუგდიდის რაიონში. აქ შემუშავდა ბაგა-ბაღების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის ორწლიანი (1979-1980) გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ბაგა-ბაღების ადგილობრივი სახსრებით მშენებლობას. მიმდინარე წელს აშენდება 19, ხოლო 1980 წელს — 18 შენობა. რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ბაგა-ბაღების მშენებლობისა და მათი შენახვისათვის 600 ათასი მანეთი გამოყვეს. მოზარდ თაობაზე ზრუნვისა და ყურადღების კარგი მაგალითია ზუგდიდის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. გუგუჩია), რომელმაც საკუთარი სახსრებით ააგო საბავშვო ბაღის ორსართულიანი 100-ადგილიანი შენობა, აღჭურვა იგი შესაბამისი ინვენტარით, კეთილმოაწყო და გაამწვანა ეზო. ამავე კოლმეურნეობამ დადგა საბავშვო ბაღისათვის სტანდარტული სახლი და ორივე ეს შენობა უსასყიდლოდ გადასცა რაიონის განათლების განყოფილებას.

ასეთი ფაქტები მხოლოდ საილუსტრაციო არ უნდა დარჩეს. მათ უნდა მიბაძონ რესპუბლიკის სხვა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა. უკანასკნელ წლებში აშენდა ახალი საბავშვო საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, გაიხსნა ბავშვთა განყოფილებანი არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან. განვლილი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის საბავშვო საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი 5800-დან 6857-მდე გაიზარდა. დღეს ჩვენს ბავშვებს 290 პოლიკლინიკა-ამბულატორია და 26 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა ემსახურება, სადაც 2180-მდე ექიმი მუშაობს.

დიდსა და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ბავშვთა საზაფხულო დასვენებისა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში რესპუბლიკის პროფსაბჭო. 1973-1978 წლებში მწყობრში ჩადგა პიონერთა ბანაკების 35 ახალი შენობა, რომელთა საწოლი ადგილების რიცხვი 9460-ს შეადგენს. სოფელ ცხვარიჭამიაში სწრაფად ვითარდება ბავშვთა გამაჯანსაღებელი ქალაქი „ცისკარი“, სადაც გასულ წელს 6700-მა ბავშვმა დაისვენა, წელს კი მათი რიცხვი 10 ათასს მიაღწევს. ამჟამად რესპუბლიკაში ზაფხულობით ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის 800-ზე მეტი ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულება, სადაც მარტო 1978 წელს 150 ათასმა მოზარდმა დაისვენა. რესპუბლიკის პროფსაბჭოს წინადადებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ბავშვთა საზაფხულო დასასვენებელი ქსელის განვითარებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების 1978-1980 წლების გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესპუბლიკის პროფკავშირთა კურორტებზე საოჯახო დასვენებისა და მკურნალობის საკითხებს. ამჟამად დედათა და ბავშვთა დასვენებასა და მკურნალობას 17 დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, სანატორიუმი და ტურისტული ბაზა ემსახურება, რომლებსაც 4860 საწოლი ადგილი აქვთ. მიმდინარე წელს ეს დაწესებულებები მიიღებენ 25 ათასზე მეტ ბავშვსა და მშობელს. გარდა ამისა, პროფკავშირების ხაზით რესპუბლიკის გარეთ დაისვენებს და იმკურნალებს 17 ათასამდე ბავშვი მშობლებთან ერთად.

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც ჩანს, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის განვითარებისა და განმტკიცების მიმართულებით უკანასკნელ წლებში საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იმ დიდი მიღწევების ფონზე, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში, სკოლამდელ ბავშვთა აღზრდა — სახალხო განათლების ეს მნიშვნელოვანი დარგი — საგრძნობლად ჩამორჩება, რამაც არ შეიძლება ჩვენი სერიოზული შეშფოთება არ გამოიწვიოს. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მთავრობამ დროულად და მომწიფებულად მიიჩნიეს ამ საკითხის სპეციალურად განხილვა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ბოლო წლებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე წარსულ წლებში. 1970 წელთან შედარებით სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი 319-ით, ხოლო ბავშვთა რაოდენობა იქ 45200-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობის ზრდა საგრძნობლად უსწრებს შესაბამის დაწესებულებებში ადგილების მატების ტემპს, რაც იწვევს ამ დაწესებულებათა გადატვირთვას და შეუძლებელს ხდის არსებული მოთხოვნილობის სრულ დაკმაყოფილებას. 1979 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით, ჩვენს რესპუბლიკაში აღრიცხულია სკოლამდელი ასაკის ასი ათასობით ბავშვი, ხოლო სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების რიცხვი 152 ათასს შეადგენს.

მაშინ როდესაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით საქართველოს რესპუბლიკას დღეს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს, საბავშვო ბაღებითა და ბაგა-ბაღებით მოზარდთა უზრუნველყოფის მხრივ იგი საგრძნობლად ჩამორჩება. ეს მაჩვენებელი საკავშირო მასშტაბით 41 პროცენტს აღწევს, ჩვენს რესპუბლიკაში კი მხოლოდ 27-ს უახლოვდება.

1979 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის ქალაქების სკოლამდელთა დაწესებულებებში ყოველ 100 ადგილზე საშუალოდ 116 ბავშვი მოდის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 121, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 109, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 126. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა თბილისში, რესპუბლიკის მილიონიან დედაქალაქს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში სულ ცოტა 90 ათასი ადგილი უნდა ჰქონდეს. ფაქტიურად აქ 23 ათასი ადგილია, სადაც თითქმის 30 ათასი ბავშვია ჩარიცხული. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თბილისის მრავალი საბავშვო დაწესებულება (განსაკუთრებით ძველ უბნებში) შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული და მუშაობის ნორმალური პირობები არა აქვს, დავრწმუნდებით, რომ ეს პრობლემა თბილისში მეტად მწვავედ დგას.

ამ რამდენიმე წლის წინათ განათლების სამინისტრომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველომ გააუქმეს ზოგიერთ ბაღში საწოლი ოთახები და ეს ბაღები ბაგა-ბაღებად გადააკეთეს. საკითხისადმი ასეთმა ცალმხრივმა მიდგომამ, ადგილების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდამ, ცხადია, ვერ გადაწყვიტა პრობლემა.

ყურადსაღებია სხვა გარემოებაც: ამჟამად რესპუბლიკაში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები აქვს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 47 სამინისტროსა და უწყებას და მათ საწარმოებს. სკოლამდელთა დაწესებულებებში ჩაბმული ბავშვების საერთო რაოდენობიდან საკავშირო დაქვემდებარების საუწყებო საბავშვო დაწესებულებებზე მოდის 13,2 პროცენტი, საკავშირო-რესპუბლიკურისა — 7, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისა და განათლების სამინისტროს სისტემაზე — დანარჩენი 80 პროცენტი.

სხვადასხვა უწყებას შორის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ასეთი დაქსაქსვა თავის მხრივ მათს არასწორ დისლოკაციას იწვევს, რის შედეგადაც ხშირად, ადგილების საერთო ნაკლებობასთან ერთად ზოგი დაწესებულება გადატვირთულია, ზოგან კი ბავშვები აკლიათ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა სამინისტრო და უწყება სახელმწიფო თვალსაზრისით ვერ მიუდგა საბავშვო დაწესებულებების ქსელის განვითარების საკითხს.

ძალზე მცირეა ამ საქმეში შავი მეტალურგიის, ქიმიური, გაზის მრეწველობის სამინისტროების წვლილი. სახარბიელო მდგომარეობა არ არის არც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი აქ მხოლოდ სამი ერთეულით გაიზარდა. ეს ძალზე ცოტაა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, სისტემის საწარმოთა მრავალათასიან კოლექტივში უპირატესად ქალის შრომაა გამოყენებული. ჩამორჩება ამ მხრივ კვების მრეწველობის სამინისტროც. 1975 წლის შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი აქ მხოლოდ 4 ერთეულით გაიზარდა. მდგომარეობა სახარბიელო არ არის არც სამშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში.

განა ნორმალურია ის მდგომარეობა, რომ რუსთავში, ამ მსხვილ სამრეწველო ქალაქში, სადაც რესპუბლიკის მეტალურგიისა და დიდი ქიმიის წამყვანი საწარმოებია განლაგებული თავიანთი მრავალათასიანი მუშათა კოლექტივებით, 30 სკოლამდელ დაწესებულებაში ნორმის გადაჭარბებით უკვე ჩარიცხულია 1300-ზე მეტი ბავშვი, ხოლო ათასობით ბავშვი ჩარიცხვის მოლოდინშია. ქალაქისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, საგეგმო, განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანოებს რომ გაეთვალისწინებინათ ის დიდი მოცულობის კაპიტალური დაბანდება, რომელიც რუსთავში საწარმოო მშენებლობასა და რეკონსტრუქციას უნდა მოხმარდეს, უფრო მეტად რომ ეზრუნათ საერთო საქმისათვის და უფრო მეტი კონტაქტით რომ ემუშავათ, ასეთ მდგომარეობას თავიდან აიცილებდნენ.

აქედანვე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები არ განმეორდეს ქალაქ მადნეულისა და რესპუბლიკის სხვა მსხვილი სამრეწველო ქალაქების განაშენიანებისას.

მეორე უკიდურესობა იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, რაც საბავშვო დაწესებულებების მშენებლობისადმი ვიწრო უწყებრივი მიდგომით უნდა აიხსნას. თუმცა ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღს დღემდე აკლია ბავშვები, ქარხნის ხელმძღვანელობამ ამავე მიკრორაიონში მეორე ბაგა-ბაღის მშენებლობა დაიწყო, მესამე კი გეგმაში შეიტანა. ქალაქისა და ქარხნის ხელმძღვანელებს ამ საკითხებზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობა რომ დაემყარებინათ ეს მშენებლობები უფრო გონივრულად შეიძლებოდა დაგეგმილიყო.

შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი საწარმოები — თბილისის ელექტრომშენებელი ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, კერამიკული ქარხანა, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა და სხვები, რომლებსაც ბაგა-ბაღების მშენებლობის ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ, მათ კოლექტივებსაც ძალიან სჭირდებოდათ ეს, მაგრამ ამ მიმართულებით აქ არაფერი არ გაკეთებულა.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, განათლების სამინისტროს, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ დროულად წარუდგინონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ხელმძღვანელებს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დასაბუთებული წინადადებები და მოთხოვნები სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის მიღების თაობაზე.

მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის ნოემბრის დადგენილების ის მოთხოვნა, რომ ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები ფართოდ იქნეს გამოყენებული სკოლამდელი დაწესებულებებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების განლაგებისათვის. ამ მეტად სერიოზულ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ რესპუბლიკის სახმშენი, განათლების სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

უნდა ითქვას, რომ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და გახსნის დროს ყოველთვის არ არის გათვალისწინებული რეალური მოთხოვნილება. არის შემთხვევები, როცა ამ ტიპის დაწესებულებები იგება იქ, სადაც ისინი დღეისათვის საჭირო არ არის. მაგალითად, გლდანის მიკრორაიონში ახლად აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღების დატვირთვა 40-50 პროცენტს არ აღემატება. მართალია, გლდანი მზარდი დასახლებაა და მომავალში სკოლამდელ ბავშვთა რაოდენობა აქ საგრძნობლად გაიზრდება, მაგრამ დღეისათვის შეიძლებოდა სკოლამდელ დაწესებულებათა ახალმშენებლობანი უფრო რაციონალურად გაგვენაწილებინა.

სერიოზული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა და მისი მოწესრიგებისათვის სოფლად, სადაც ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე საგრძნობლად ჩამორჩება. 1971-1978 წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აშენდა 4590-ადგილიანი 103 სკოლამდელი დაწესებულება გეგმით გათვალისწინებული 11200-ადგილიანი 210 დაწესებულების ნაცვლად. ამავე პერიოდში საბჭოთა მეურნეობებში საექსპლოატაციოდ გადაცემული სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი და ადგილების რაოდენობა ასევე ნაკლებია გეგმასთან შედარებით. ამავე დროს ძირითადად ქსელის არასწორი განლაგების გამო სოფლის მეურნეობის სამინისტრო წლების მანძილზე ვერ ასრულებს სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის საგეგმო მაჩვენებლებს, თავისუფალია 4800-ზე მეტი ადგილი, ყოველ 100 ადგილზე მხოლოდ 71 ბავშვი მოდის.

სოფლად სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ იმ დავალებათა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 აპრილის დადგენილებით „კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამხანაგებო!

როგორც ხედავთ, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ქსელი სასურველი ტემპითა და მასშტაბით ვერ ვითარდება. ისიც უნდა ითქვას, რომ საამისოდ გამოყოფილი თანხები ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებას. ასეთ ვითარებაში ყოვლად მიუტევებელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში წლითიწლობით მთლიანად ვერ ითვისებენ ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს. 1971-1978 წლებში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით უნდა აშენებულიყო 47.200 ადგილის სკოლამდელი დაწესებულება, ფაქტიურად კი საექსპლოატაციოდ გადაეცა 41.900 ადგილი; მშენებლობის გეგმა ამ წლებში მხოლოდ 88,7 პროცენტით შესრულდა. ალბათ რესპუბლიკის მთავრობასაც თავის დროზე მეტი მომთხოვნელობა და პრინციპულობა უნდა გამოეჩინა იმათ მიმართ, ვინც ასე უგულოდ ეკიდებოდა ჩვენი ბავშვებისათვის მეტად საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრას. მინისტრთა საბჭო გაითვალისწინებს ამ მდგომარეობას და მომავალში განსაკუთრებული ყურადღებისა და კონტროლის საგნად გახდის საბავშვო ბაგა-ბაღებისა და ბაღების მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებს. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები. ამას წინათ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს ავალებს 1979-1980 წლებში რესპუბლიკისათვის გამოყოფილი საერთო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე გეგმის გადამეტებით უზრუნველყონ 1400 ადგილისათვის გათვალისწინებული სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭომ განიხილა რა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის 5 თვის შედეგები, აღნიშნა ამ დარგში არსებული სერიოზული ჩამორჩენა, გააანალიზა მისი მიზეზები და დასახა შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები. მინისტრთა საბჭომ ამავე დროს მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროების, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელების, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, გაგრის, ჭიათურის, სამტრედიის ქობულეთის, დმანისის, ასპინძის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ყურადღება მიაპყრო შექმნილ მდგომარეობას და დაავალა მათ დასახონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრისა და მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის; დამტკიცებულია 1979 წლის ასამოქმედებელი ობიექტების ჩაბარების ვადები.

რესპუბლიკის მთავრობას შემუშავებული აქვს აგრეთვე ღონისძიებების კომპლექსი, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს საბავშვო ბაღებითა და ბაგა-ბაღებით მოზარდთა უზრუნველყოფის შედეგად 1985 წლის ბოლოსათვის მაქსიმალურად მივუახლოვდეთ საკავშირო მაჩვენებელს. ეს, ცხადია, დიდ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს და ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ამ მიჯნის მისაღწევად. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ხარისხს და მათ კეთილმოწყობას თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის, მათი ჯანმრთელობის დაცვის, საშუალო სკოლაში მათი სწავლებისათვის სათანადო მომზადების პრობლემა მთელ რიგ ორგანიზაციულ, მეთოდიკურ, სამედიცინო და სხვა საკითხებთან არის დაკავშირებული.

ცხოვრებამ ნათლად დაადასტურა, რომ მიზანშეწონილია საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების გაერთიანების საფუძველზე საბავშვო ბაგა-ბაღების შექმნა, რაც გათვალისწინებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის დადგენილებით.

ასეთი ტიპის დაწესებულება უზრუნველყოფს, როგორც ბავშვთა აღზრდის უფრო მაღალ დონეს და დიდებისათვის უფრო მოხერხებულ პირობებს, ისე თვით დაწესებულების ეკონომიურობას. შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი ასეთი დაწესებულება, სადაც საქმე კარგად არის დაყენებული და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადოდ ვერ აფასებს აღნიშნული რეორგანიზაციის მნიშვნელობას, ჯეროვნად არ ზრუნავს ბაგებისა და ბაღების გაერთიანებაზე იქ, სადაც ამისათვის მოსახერხებელი პირობები არსებობს.

ამხანაგებო!

ორიოდე წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული სკოლამდელი დაწესებულება ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვებისათვის. კერძოდ, თბილისში გაიხსნა მხედველობა და სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღი, მეტყველებადაქვეითებულ ბავშვთა საქალაქო ბაგა-ბაღი, ჯგუფები გონებაჩამორჩენილ ბავშვთათვის, სადაც სწავლა-აღზრდის პარალელურად მკურნალობენ კიდეც ბავშვებს. ამ ტიპის დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკამ კარგი ნაყოფი გამოიღო. აქ ბევრი ბავშვი განიკურნა და სწავლა განაგრძო საშუალო სკოლაში. მიუხედავად ამისა, ფიზიკური დეფექტების მქონე ბევრი სკოლამდელი ასაკის ბავშვი ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი და ჩარიცხული შესაბამის დაწესებულებაში. ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს ჯერ კიდევ გულისყურით არ ეკიდებიან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების ორგანოები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებმა, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1977 წელს მიიღეს დადგენილება „ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და დაავადებათა შემცირების მიზნით სკოლამდელ დაწესებულებათა საკავშირო დათვალიერების ჩატარების შესახებ“. დათვალიერება 1981 წლამდე უნდა გაგრძელდეს. როგორც ადგილებზე ამ საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი ამ მიმართულებით. სამედიცინო შემოწმება ხშირად ფორმალური ხასიათისაა, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვა ზოგჯერ საერთოდ სამედიცინო შემოწმებისა და დასკვნის გარეშე ხდება. სირთულეებს ისიც ქმნის, რომ მოქმედი ნორმატივების მიხედვით ექიმის ერთი საშტატო ერთეული გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის 700 ბავშვზე ქალაქად, 1000 ბავშვზე — სოფლად. ამიტომ ექიმები ყოველთვის ვერ ახორციელებენ ბავშვთა ჯანმრთელობისადმი სისტემატურ მეთვალყურეობასა და მათ ეფექტიან მკურნალობას.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში ამჟამად მუშაობს 287 საბავშვო ბაგა (144 — ქალაქში, 143 — სოფლად), რომლებიც 7.900-ზე მეტ ბავშვს აერთიანებს. კარგა ხანია დგას და ჯერაც არ არის გადაჭრილი საკითხი, რომ ბავშვთა ბაგები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემიდან გადავიდეს განათლების სამინისტროს სისტემაში. ალბათ ნაწილობრივ ამითაც უნდა აიხსნას, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ამ უკანასკნელ წლებში ხელი აიღო საბავშვო ბაგების მშენებლობასა და არსებული შენობების რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე, რის გამოც ამ დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტისმეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებმა საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სასწრაფოდ უნდა შეიმუშაონ წინადადებები ამ საკითხზე და შეიტანონ იგი განსახილველად მინისტრთა საბჭოში.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო საზაფხულო გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

ზაფხულის პერიოდში საბავშვო ბაღებისა და ბაგების აღსაზრდელთა აგარაკებზე გაყვანა რესპუბლიკაში სისტემატურად ხდება და ამასთანავე მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაზები არ იზრდება მოთხოვნილების შესაბამისად. 1975-1978 წლების პერიოდში საწოლების რაოდენობამ ბავშვთა სანატორიუმებში მხოლოდ უმნიშვნელოდ მოიმატა. ძნელდება კერძო პირთა პირად საკუთრებაში არსებული სათანადო ბინების სააგარაკოდ დაქირავებაც. ეს ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც გაუმართლებელია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსხვილმა საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გაიღონ სათანადო სახსრები სააგარაკო სკოლამდელ ბავშვთა დასასვენებელი კომპლექსების შექმნისათვის. ამ მიზნით არდადეგების პერიოდში უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული სასკოლო შენობებიც, მინისტრთა საბჭო, რომელიც ითვალისწინებს ამ პრობლემის აქტუალობას და მის სირთულესაც, საფუძვლიანად სწავლობს მას და უახლოეს დროში მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

ბაგა-ბაღების ნორმალური მუშაობა, ბავშვებისათვის აღზრდის, დასვენების, გართობის, ვარჯიშის ოპტიმალური პირობების შექმნა ბევრად არის დამოკიდებული ამ დაწესებულებათა სათანადო დგამ-ავეჯით აღჭურვაზე. ამ მიმართულებით ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია. ჩვენი ბაგა-ბაღები ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ბავშვთა აღზრდის ისეთ კერებად, სადაც ეს მეტად სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-ესთეტიკური პროცესი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალური საშუალებებით.

გამოანგარიშებულია, რომ დღეისათვის რესპუბლიკის საბავშვო დაწესებულებებს ესაჭიროებათ ყოველწლიურად 37 დასახელების 7 მილიონი მანეთის ინვენტარი, ფაქტობრივად კი მზადდება მხოლოდ 20 დასახელების 4 მილიონი მანეთის ინვენტარი, ე. ი. მოთხოვნილება ფულადი გამოსახულებით მხოლოდ 54 პროცენტით კმაყოფილდება.

რესპუბლიკაში გამოშვებული საბავშვო დგამ-ავეჯის საგრძნობი ნაწილი ცუდი ხარისხისაა, შესრულებულია უგემოვნოდ, ვერ აკმაყოფილებს არა მარტო ესთეტიკურ, არამედ ელემენტარულ პედაგოგიურ და ჰიგიენურ მოთხოვნებს.

შექმნილი მდგომარეობის უმოკლეს დროში გამოსწორების მიზნით დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები. გადაწყდა, კერძოდ, რომ თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა მომავალში იმუშავებს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე და სათანადოდ გაიზრდება მისი წარმოების მოცულობა.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიც არის სათამაშო. ეს უბრალო, მეორეხარისხოვანი საკითხი არ არის, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკს მიაჩნია. გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე აღნიშნავდა: „თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის მთავარი ფორმაა“. ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფა არ შეიძლება. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკაში დამზადებული სათამაშოები ამ თვალსაზრისით არაფრად არ ვარგა, ისინი ცუდი ხარისხისაა შესრულების მხრივ, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიურ, ესთეტიურ და ჰიგიენურ მოთხოვნებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები საერთოდ ვერ უზრუნველყოფენ ბავშვებისათვის სათამაშოების დამზადებას სრული ნომენკლატურით. თითქმის არ გაგვაჩნია საბავშვო ატრაქციონები და დიდაქტიკური სათამაშოები. უფრო მეტიც, გაუმართლებლად იქნა გაუქმებული განათლების სამინისტროს დიდაქტიკური სათამაშოების ლაბორატორია, რომლის ნამუშევრებმა რამდენიმე წლის წინათ საკავშირო აღიარება მოიპოვა.

რატომ ხდება ასე? რატომ გაჭირდა რესპუბლიკაში წესიერი, ლამაზი, კარგად ჩაფიქრებული სათამაშოების შექმნა და დამზადება? განა ჩვენ არ გაგვაჩნია ამ საკითხის დიდებითად გადაჭრის საშუალებანი? საქართველოში, თბილისში ბევრი კარგი მხატვარი, კონსტრუქტორი, დიზაინერი გვყავს, რომელთაც შეუძლიათ შექმნან საბავშვო სათამაშოების შესანიშნავი ნიმუშები. არა მგონია, ეს საქმე შეფერხდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც — ბავშვებისათვის კარგი სათამაშოს დასამზადებლად ჩვენ ყოველთვის გვექნება საჭირო თანხაც და მასალაც. ამგვარად, ყველაფერი დამოკიდებულია იმ ხელმძღვანელთა, იმ უწყებებისა და ორგანიზაციების ინიციატივაზე, მონდომებაზე, დაინტერესებაზე და, თუ გნებავთ, ბავშვების სიყვარულსა და პატივისცემაზე, ვისაც ამ საქმის მოვლა-პატრონობა აქვს დავალებული.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ბავშვებისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ამ საქონლის ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მიმდინარე წელს შესაბამისი დადგენილება მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისაგან, განსაკუთრებით ხარისხის თვალსაზრისით. სავაჭრო ქსელში ნაკლებად შეხვდებით მიმზიდველ საბავშვო ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, წინდებს, ტრიკოტაჟის ნაწარმს, საწოლებს, სხვა აუცილებელ ნივთებს. ამიტომ აუცილებელია, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც საბავშვო ასორტიმენტის საქონელს აწარმოებენ, მკვეთრად აამაღლონ პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა ამ საქმისადმი, საბავშვო საქონლის დასამზადებლად წარმართონ საუკეთესო ხარისხის ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, დააწესონ მკაცრი კონტროლი პროდუქციის ხარისხისადმი.

ამხანაგებო!

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1977 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მოსწავლეთა და ბავშვთა კვების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ბავშვთა კვების საკითხში ერთგვარი გაუმჯობესება იგრძნობა. მაგრამ მისი საბოლოო მოგვარება კვლავაც სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, განათლების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ცეკავშირმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველა სკოლამდელი დაწესებულება სრულად იყოს უზრუნველყოფილი დადგენილი ასორტიმენტის საჭირო რაოდენობის სურსათით.

განა შეიძლება შევურიგდეთ ისეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს, როცა ცალკეულ უპასუხისმგებლო მუშაკთა მიზეზით საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს აკლდებათ მათთვის აუცილებელი სურსათი?! და ეს მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ სურსათ-სანოვაგით, განსაკუთრებით კი ბოსტნეულითა და კარტოფილით მოსახლეობის უკეთ მომარაგებისათვის და ამ მხრივ მდგომარეობა რესპუბლიკაში საგრძნობლად უმჯობესდება. რა გაგვიჭირდა დღევანდელ ვითარებაში, რომ ჩვენს პატარებს კარტოფილი და რძე დააკლდეთ! ყველამ, ვისაც საბავშვო დაწესებულებათა სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა ევალება, სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს აქედან. ამ საქმეში დარღვევები, ნაკლოვანებები, უსულგულო დამოკიდებულება და უპასუხისმგებლობა არავის არ უნდა ეპატიოს.

ამხანაგო დეპუტატებო!

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ პასუხისმგებლობასა და სირთულეს, რაც დაკავშირებულია სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობასთან.

დიდი საბჭოთა პედაგოგი ანტონ მაკარენკო ამბობს: „ადამიანის აღზრდის წარმატება განისა-

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ბავშვობის წლები ჯანსაღი და ბედნიერი რომ იყოს

(დასასრული)

ზღვრება უმცროს ასაკში, ხუთ წლამდე. როგორი იქნება ადამიანი, უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაზრდით მას მისი ცხოვრების მეხუთე წლისათვის. თუ თქვენ ხუთ წლამდე ვერ აღზრდით მას ისე, როგორც საჭიროა, შემდეგ მოგიხდებათ ხელახლა აღზრდა“.

ცხადია, ბავშვთა აღზრდის ყოველ საფეხურზე, განსაკუთრებით კი სკოლამდელ ასაკში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად არიან დაუფლებული თავიანთ საქმესა და პედაგოგიურ ოსტატობას აღმზრდელ-მასწავლებლები — ადამიანები, რომელთაც მინდობილი აქვთ ნორჩების ფიზიკური და სულიერი ჩამოყალიბების სათუთი საქმე.

უკანასკნელ წლებში აღმზრდელ-პედაგოგებად, ჩვეულებრივ, უმაღლესი განათლების პირები ან საშუალო სკოლის ბაზაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები ინიშნებიან. თუმცა ჯერ კიდევ არის შემთხვევები, — და ეს განსაკუთრებით საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებს შეეხება, — როცა აღმზრდელ-პედაგოგებად იგზავნებიან პირები, რომლეთაც არც სპეციალური განათლება და არც სათანადო გამოცდილება არ გააჩნიათ.

ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში დაბალია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე: ირღვევა დღის რეჟიმი, აღმზრდელთა ერთი ნაწილი არ იჩენს ბავშვებისადმი სათუთ, გულისხმიერ, მშობლიურ ზრუნვას, უფრო მეტიც — უხეშად, უდიერად ეპყრობა მათ. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მოზარდისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა საბავშვო დაწესებულებებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა და დახმარება. აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე სისტემატურად იმართება საკავშირო, რესპუბლიკური, ზონალური, საქალაქო, რაიონული კონფერენციები და სემინარები. გადამუშავდა და დაიხვეწა „საბავშვო ბაღში აღზრდის პროგრამა“, გამოიცა სკოლამდელი აღზრდის მუშაკებისათვის განკუთვნილი საინსტრუქციო მეთოდიკური კრებულები. გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ კვარტალურ დამატებაში — „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“ პერიოდულად იბეჭდება სტატიები სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ პრობლემებსა და მოწინავე გამოცდილებაზე. დამკვიდრდა სკოლამდელი აღზრდის თეორიის კარგი ტრადიციები, რომლებსაც დიმიტრი უზნაძემ და მისმა მოწაფეებმა ჩაუყარეს საფუძველი. დღეს სკოლამდელი აღზრდის პრობლემებს მეცნიერულად იკვლევს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორი, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა, რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სკოლამდელი აღზრდის შემდგომ სრულყოფაში.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ამ საქმეში ჯერ კიდევ ზოგი რამ მოუგვარებელია. იგრძნობა სამეცნიერო-მეთოდიკური და საერთოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისათვის საჭირო ლიტერატურის ნაკლებობა, ჭიანურდება რეკომენდებული შრომების გამოცემა, ნაკლები ყურადღება ექცევა მაღალიდეური საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შექმნასა და მის მაღალმხატვრულ პოლიგრაფიულ გაფორმებას, გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლამდელთათვის განკუთვნილი რადიო და ტელეგადაცემები — ისინი უფრო უნდა დაიხვეწოს როგორც თემატურად, ისე მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

ამხანაგო დეპუტატებო!

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიისათვის მზადების პერიოდში მრავალი წინადადება შემოვიდა უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისაგან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისაგან, რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, მოსახლეობისაგან. მათი ავტორები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და ამ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები ასეთ მაღალ ფორუმზე განიხილება. ისინი აღნიშნავენ იმ დიდსა და სასარგებლო მუშაობას, რომელიც ამ მიმართულებით განხორციელდა რესპუბლიკაში. ამავე დროს გამოთქმულია მრავალი საინტერესო და საყურადღებო შენიშვნა და მოსაზრება, რომელთა მიზანია სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარება და მისი მუშაობის სრულყოფა.

როგორც მოგახსენეთ, რესპუბლიკის მთავრობა ამჟამად ამუშავებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელშიც დაისახება საბავშვო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კონკრეტული მიმართულებანი, მათი მუშაობის გაუმჯობესების გზები და საშუალებები. მინისტრთა საბჭო, საგეგმო კომიტეტი, ფინანსთა სამინისტრო ყურადღებით განიხილავენ და შეისწავლიან შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს და რეალური შესაძლებლობების ფარგლებში გაითვალისწინებენ მათ.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საკითხის განხილვა, სესიის მიერ მიღებული დადგენილება დადებით შედეგს მოგვცემს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და მათი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გილაშვილის მოხსენებიდან

ამხანაგო დეპუტატებო! წელიწადნახევარზე ცოტა მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენაა.

1979 წლის 2 მარტს მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მთავარი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის განხილვა და მიღება. მასში, ისევე როგორც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებში, აისახა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის, სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემის ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე მყარი ნიშნები.

კონსტიტუციების მოთხოვნათა შესაბამისად საბჭოთა კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა უკვე დაიწყეს საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ვრცელი პროგრამის განხორციელება.

კანონმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელიც გასული წლის ივლისში მიიღო სესიამ, უფრო გააფართოვა ჩვენი საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი, საშუალება მისცა მილიონობით საბჭოთა ადამიანს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო კამპანიაში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილ პროექტებში გათვალისწინებულია და აისახა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ კანონის ის დებულებები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარე წლის 4 მარტს მოეწყო საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნები, რომელმაც მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა და კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში უდიდესი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. 1974-1978 წლებში წარმოებულია 1,9-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლედში. ამასთან მთელი მატების ოთხი მეხუთედი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით არის მიღებული.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად არნახული წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამაც. მისმა საწარმოო ძალებმა მიაღწიეს განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ეკონომიკური და სოციალური ზრდის ტემპის დაჩქარება.

გამარჯვება მოპოვებულია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი ხალხის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დაუღალავი, მრავალმხრივი ორგანიზატორული მუშაობით.

პარტია დღენიადაგ ზრუნავს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის ავტორიტეტის ამაღლებისა და მისი მრავალმხრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. სოციალისტური პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებაა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში მშრომელთა მონაწილეობის გაღრმავება და გაფართოება.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დეპუტატის საპატიო მოვალეობას 2,2 მილიონი კაცი ასრულებს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმათაც, ვინც ადრე იყო არჩეული საბჭოებში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენში უკვე მილიონობით ადამიანმა გაიარა პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო მმართველობის დიდი სკოლა. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს სკოლა 140 ათასზე მეტმა მოქალაქემ გაიარა.

სესიაზე განსახილველად შემოტანილი პროექტები შეიცავენ ნორმებს, რომლებიც პრაქტიკულად არეგულირებენ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხთა ერთობლიობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის პროექტის მე-14 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის იქმნება 440 საარჩევნო ოლქი, 400-ის ნაცვლად. საარჩევნო ოლქებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის მიხედვით ქმნის საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე; საარჩევნო ოლქზე მოსახლეობის ნორმას ყოველი არჩევნებისათვის აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საარჩევნო უბნების შექმნის წესი ძირითადად იგივე რჩება. ახალი ის არის, რომ დაწესდა მათი შექმნის ერთიანი კრიტერიუმი, სახელდობრ, ამომრჩეველთა რიცხვის და არა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით ფართოვდება საარჩევნო კომისიათა უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, კანონის პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს და აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არჩევნების კანონის შესრულებას. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს წარდგინებით მიმართოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არჩევნების მოწყობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, მოისმინოს საარჩევნო კომისიების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე.

საარჩევნო კომისიების უფლებების გაფართოების მიზნით არჩევნების შესახებ კანონების პროექტებში გათვალისწინებულია, რომ საარჩევნო კომისიების დადგენილებების შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის. საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საკითხებზე მიმართონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ აღძრული საკითხი და უპასუხონ საარჩევნო კომისიას არაუგვიანეს სამი დღის განმავლობაში.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის არჩევნებამდე 20 დღით ადრე უნდა გამოაკრან შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან საუბნო საარჩევნო კომისიის შენობებში, რათა მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეთ გაეცნონ სიებს და შეამოწმონ მათი შედგენის სისწორე.

საბჭოების დამოკრატიულობას ადასტურებს აგრეთვე ამომრჩეველთა მიერ თავიანთი დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი.

იმისათვის, რომ დეპუტატობის კანდიდატების დასახელების კამპანია უფრო ხანგრძლივი, აქტიური და დემოკრატიული გახდეს, კანონების პროექტები ითვალისწინებს კანდიდატების დასახელება დაიწყოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ მეათე დღეს და არა 2-3 კვირის შემდეგ, როგორც ეს წინათ იყო. ეს საშუალებას იძლევა მოეწყოს ამომრჩეველთა გაცილებით მეტი კრებები და შეხვედრები.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და განხილვის ეს წესი უზრუნველყოფს, რომ საბჭოებში დაასახელონ და აირჩიონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ნამდვილად საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც კომუნიზმის საქმის ერთგული არიან, მშრომელთა ნდობით და მხარდაჭერით სარგებლობენ და უნარი შესწევთ პირნათლად შეასრულონ ხალხის რჩეულის საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობანი.

პროექტით სხვანაირად განისაზღვრება ხმის მიცემის შედეგებიც. თუ არსებული დებულების თანახმად, არჩეულად ითვლებოდა კანდიდატი, რომელიც მიიღებდა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, ახლა არჩეულად ჩაითვლება მაშინ, თუ მიიღებს ოლქის ყველა ამომრჩევლის ხმების ნახევარზე მეტს.

ჩვენში ფართოდ დამკვიდრდა წინასაარჩევნო საოლქო თათბირების მოწყობა. წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე იხილავენ საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან საკითხებს, იღებენ გადაწყვეტილებებს დეპუტატობის კანდიდატის მხარდაჭერის შესახებ, მიმართვებს ამომრჩევლებისადმი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივებისადმი. არჩევნების შესახებ კანონების პროექტები ითვალისწინებს ამ ღონისძიებების საკანონმდებლო წესით დამკვიდრებას.

დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან ისე უნდა მოეწყოს, რომ მასობრივი ხასიათი ჰქონდეს, რომ ამომრჩევლებს საშუალება მიეცეთ კარგად გაეცნონ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს, და კრიტიკულად შეაფასონ თითოეული მათგანის საზოგადოებრივი და საწარმოო საქმიანობა, სანამ მათ რეგისტრაციაში გაატარებდნენ საოლქო საარჩევნო კომისიები.

ამ შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვას, განხილვასა და მათს შესრულებას.

ჩვენმა ახალმა კონსტიტუციამ უაღრესად ხელშემწყობი პირობები შეუქმნა საბჭოებს იმისათვის, რომ ისინი წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ ფართო უფლებამოსილებას და მიზანდასახულად მოქმედებდნენ. დღეს საბჭოების მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი ამაღლება, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, სამშობლოს ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცება.

საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომლის შესაბამისად საბჭოებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ ჩააბან მოქალაქენი სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, დარაზმონ მშრომელები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესასრულებლად, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად; გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს დეპუტატების საქმიანობა, საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკა; მეტი ყურადღება დაეთმოს ორგანიზატორულ მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების შესახებ კანონების პროექტები, რომლებიც თქვენ დაგირიგდათ, სავსებით შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მიერ სახელმწიფო მშენებლობის დარგში წამოყენებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებიდან. არჩევნების შესახებ კანონების პროექტების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი და საბჭოების არჩევნების ჩატარების მრავალი წლის გამოცდილება, აგრეთვე საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მშრომელთა მიერ შემოტანილი ბევრი წინადადება, რომელთა მიზანია ჩვენი საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარება, არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების სრულყოფა.

ახალი კანონები უზრუნველყოფს არჩევნების ჩატარებას დემოკრატიულ საფუძველზე, არჩევნებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და საბჭოთა მოქალაქეების ფართო და აქტიურ მონაწილეობას, ხალხთა მასების ფართო მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებაში.

ჩვენს ქვეყანაში არჩევნები ყოველთვის ტარდება ამომრჩეველთა ისეთი მაღალი აქტიურობის პირობებში, როგორსაც ვერ ნახავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს იმიტომ, რომ დეპუტატი სსრ კავშირში ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამომხატველია. ჩვენმა მშრომელებმა იციან, რომ ადამიანები, რომლებიც დეპუტატებად აირჩიეს, იცავენ მათს ძირეულ ცხოვრებისეულ ინტერესებს; ამომრჩევლებს შეუძლიათ შემდგომში კონტროლი გაუწიონ თავიანთი წარმომადგენლების საქმიანობას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში და გავლენა მოახდინონ მათს გადაწყვეტილებებზე. ეს რეალური დემოკრატიზმია.

საბჭოთა დემოკრატიზმი თავის გამოხატულებას პოულობს იმაშიც, რომ დეპუტატი, რომელმაც ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერ დროს გაიწვიონ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

უნდა ითქვას, რომ ამომრჩევლები ამ უფლებას ფართოდ იყენებენ. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სხვადასხვა საფეხურის საბჭოებიდან გაწვეულ იქნა 4 ათასამდე დეპუტატი, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათდამი გამოცხადებული ნდობა.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მრავალი წინადადება გამოითქვა იმის შესახებ, რომ საბჭოების არჩევნები მოეწყოს ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. როგორც მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს დრო ყველაზე ხელსაყრელია ასეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის ჩასატარებლად. ამ პერიოდში არ არის ხოლმე დაძაბული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ნაკლებია მოსახლეობის მიგრაცია. აღნიშნულ პერიოდში არჩევნების მოწყობის შესახებ წინადადებას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ჩვენმა რესპუბლიკამაც დაუჭირა მხარი.

როგორც ცნობილია, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს რწმუნებანი უმთავრდებათ 1979 წლის დეკემბერში, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს — 1980 წლის ივნისში. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ერთდროულად მოეწყოს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შემოაქვს წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მოეწყოს 1980 წლის თებერვალში. ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი დარიგებული გაქვთ.

ამხანაგო დეპუტატებო! შემიძლია გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ ახალი კანონების მიღება ხელს შეუწყობს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა თანამიმდევრულ განხორციელებას, კარგ სამსახურს გაუწევს კეთილშობილურ საქმეს — ჩვენი საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, გაფართოებასა და გაღრმავებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის ინფორმაციიდან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე და მეთერთმეტე სესიებს შორის პერიოდი აღსავსეა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებით. 1979 წლის 4 მარტს გამართული სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის, ჩვენი საზოგადოების მონოლითური შეკავშირების ახალი გამოხატულება, სოციალისტური დემოკრატიის ჭეშმარიტი ზეიმი იყო.

აღნიშნულ პერიოდში პრეზიდიუმის საქმიანობაში დიდი ადგილი დაეთმო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. პრეზიდიუმმა დადგენილ ვადებში განახორციელა საჭირო ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებები არჩევნების მოსამზადებლად, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად მოეწყო.

სესიებს შორის პერიოდში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამართა 5 სხდომა, რომლებზეც განიხილა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში საბჭოების როლის ამაღლების, მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილებების უფრო ეფექტიანად გამოყენების, დეპუტატთა აქტიურობის გაძლიერების, კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხები.

პრეზიდიუმი დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზატორული და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. მარტში პრეზიდიუმმა განიხილა ცხაკაიას და ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის. ამ საკითხის განხილვამდე პრეზიდიუმის მუშაკები აღნიშნული რაიონების საბჭოებისადმი დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის მუშაობის ორგანიზაციაში დახმარების გასაწევად ადგილებზე ჩავიდნენ.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისა და დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის გაწეული მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით აპრილში გაიმართა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

გაითვალისწინა რა ამხანაგური სასამართლოების დიდი შესაძლებლობანი შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში, პრეზიდიუმმა შეისწავლა ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ზესტაფონის რაიონსა და ქ. თბილისის ლენინის რაიონში. აღნიშნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამხანაგური სასამართლოები ჯერ კიდევ ვერ ახდენენ საჭირო გავლენას მოქალაქეთა აღზრდაზე შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

პრეზიდიუმი მუდმივად განიხილავს რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფის, მისი სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით მიღებულია მთელი რიგი აქტები, გამოცემულია ბრძანებულებები საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე და სხვ.

აპრილში პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესახებ“. პრეზიდიუმმა დაავალა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ იმ განაწესების რეალიზაცია, რომლებიც მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს შეეხება, ხოლო ის განაწესები, რომელთა შესასრულებლად საჭიროა მთავრობის გადაწყვეტილება, განსახილველად გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

წინათ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი კონტროლის განხორციელების წესით განხილულ იქნა საკითხი — „საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლეს საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ნ. ჭითანავას ინფორმაცია პრეზიდიუმის დავალებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შესახებ.

მუდმივი კომისიები ახლა უფრო ღრმად განიხილავენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები შემოაქვთ პრეზიდიუმის განსახილველად.

პრეზიდიუმის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშრომელთა მორალური წახალისების საკითხებს. გრძელდება მუშაობა დაჯილდოების საქმის სრულყოფისათვის. პრეზიდიუმმა შეიმუშავა ახალი დებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ.

საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. ბევრი მათგანი ეფექტიან ღონისძიებებს არ ახორციელებს აღმზრდელობითს საქმიანობაში მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებისათვის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის; ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს; საკმარისად არ ეხმარებიან დეპუტატებს მათი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანად მიაჩნია დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, აამაღლოს მათი როლი სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უდავოდ დიდ როლს შეასრულებს იმაში, რომ წარმატებით გადაწყდეს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანები შემდგომ განვითარდეს საბჭოთა დემოკრატია. გააქტიურდეს დეპუტატთა საქმიანობა არა მარტო სამუშაო ადგილას, არამედ საარჩევნო ოლქების მოსახლეობაშიც.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულებები, რომლებსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 116-ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარმოგიდგენთ.

რესპუბლიკის კანონმდებლობის საკავშირო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1979 წლის 20 მარტს მიიღო ბრძანებულება „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“.

მხედველობაში მიიღო რა მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი სურვილი და საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების წინადადებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1979 წლის 18 აპრილს გამოსცა ბრძანებულება „ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ამ ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის ახალი რედაქცია ითვალისწინებს სასჯელის უფრო მკაცრ ზომებს.

განვლილ პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებათა საფუძველზე მიიღო მთელი რიგი ბრძანებულებები რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ.

თქვენს განსახილველად შემოტანილია აგრეთვე პროექტი დადგენილებისა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. ზურაბ გიორგის ძე აბელიდიანის შეყვანის შესახებ. ამ საკითხზე წარდგინება შემოიტანა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და იგი შეესაბამება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის 34-ე მუხლს.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა პროექტები ხელთა გაქვთ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ისინი.

ბავშვებისათვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა

(დასასრული)

საარჩევნო ოლქი, ქ. გორი), **ი. ა. ხარატიშვილი** (პატარძეულის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), **თ. ვ. ოსეფაიშვილი** (ხიდისთავის საარჩევნო ოლქი, ჩოხატაურის რაიონი), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. **გ. გ. ლეჟავა**, დეპუტატი **ა. დ. ზურაბაშვილი** (საქალაქო საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი).

შემოდის წინადადება შეწყდეს კამათი დღის წესრიგის მეორე საკითხის გამო. ამ წინადადებას იღებენ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ**.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“.

ამით სესიის დილის სხდომა დამთავრდა.

* * *

15 საათსა და 30 წუთზე დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის საღამოს სხდომა. იგი მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ნ. ვ. გურგენიძის** თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **პ. გ. გილაშვილმა**.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: **ვ. ო. კობახია** (ბესლეთის საარჩევნო ოლქი, სოხუმის რაიონი), **გ. შ. კვანტალიანი** (ზენდრის საარჩევნო ოლქი, ვანის რაიონი), **გ. ა. კალინინი** (პისარევის საარჩევნო ოლქი, თბილისი) და თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. მარგალიტაშვილი**.

კამათი შეწყდა.

დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს სსრ კანონები უმაღლესი საბჭოს არჩევნების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატის გამოწვევის კანონების ახალი რედაქცია, აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მეჩვიდმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 1980 წლის თებერვალში მოწყობის შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **თ. ვ. ლაშქარაშვილმა**.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

იმის გამო, რომ დეპუტატები **გ. დ. გაბუნია** და **ს. ტ. რიგვავა** სხვა სამუშაოზე არიან გადაყვანილნი, ისინი გაათავისუფლეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების — შესაბამისად ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების თავმჯდომარეთა მოვალეობისაგან, ხოლო დეპუტატი **შ. მ. ეცადაშვილი** — განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით ამხ. **თ. ნ. მენთეშაშვილი** განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ხოლო **ნ. დ. რუხაძე** — საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ აირჩია **რ. ა. გოგლიძე** — დეპუტატი ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ლილოს საარჩევნო ოლქისაგან, და გაათავისუფლა იგი ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **მ. მ. ხანანაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ვაკის საარჩევნო ოლქისაგან. იგი განთავისუფლდა ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს **ბ. დ. მახარაშვილი** — დეპუტატი ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ჩელუსკინელთა საარჩევნო ოლქისაგან, იგი განთავისუფლებულია კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვას, თუ როგორ მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად, უპასუხა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა დეპუტატმა **შ. მ. ეცადაშვილმა**. უმაღლესმა საბჭომ ცნობად მიიღო მინისტრის ინფორმაცია და შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა შეიმუშაონ და დასახონ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებანი, ქმედითი კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია დახურულად გამოცხადდა.

(საქინფორმი).

ცხოვრების სიმართლით აღბეჭდილი წიგნები

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი

სურათზე: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმის მონაწილენი საგარეჯოში.
ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საგარეჯო, 15 ივნისი. (საქინფორმის სპეც. კორ. მ. გაბრიაძე).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნებმა — „მცირე მიწამ", „აღორძინებამ" და „ყამირმა", რომლებსაც სამართლიანად უწოდეს „წიგნები — მეომრები", მსოფლიოს ყველა ხალხი დააინტერესა, ისინი მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ მილიონობით მკითხველი დაეწაფა. სამივე წიგნი ისტორიაა საბჭოთა ხალხების უახლოესი წარსულისა, აღსავსეა ცხოვრებისეული ძვირფასი მაგალითებით, საბჭოთა ადამიანების დაუვიწყარი სახეებით, მათი საგმირო საქმეებით.

ამ ამაღელვებელი პუბლიცისტური ტრილოგიის მესამე ნაწილს „ყამირს", მასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს და ქართული მწერლების ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გამსვლელი პლენუმი, რომელიც საგარეჯოში გაიმართა.

აქ, საქართველოს ულამაზეს კუთხეში — კახეთში შეიკრიბნენ ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები, ჩვენი სოფლის სახელოვანი ადამიანები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. აბაშიძემ.

— საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად იქცა ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგია — მემუარული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუში, — თქვა მან. — ამ წიგნებმა დიდი ადგილი დაიკავეს ჩვენს ცხოვრებაში, იდეოლოგიური ფრონტის თითოეული მუშაკისათვის სამაგიდო და სახელმძღვანელო წიგნებად იქცნენ.

ეს შესანიშნავი წიგნები უაღრესად ახლობელია საბჭოთა მწერლობისათვის, მათ განხილვას მიეძღვნა პლენუმები და კონფერენციები, მკითხველებთან მწერლების შეხვედრები, რომლებზედაც განიხილავდნენ ამ თხზულებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ტრილოგიაში აღძრული ჩვენი ლიტერატურისათვის საინტერესო საკითხებს.

„ყამირი" ჩვენი გმირი ხალხის ისტორიის ერთი სახელოვანი ფურცელია. ამ ნაწარმოებზე საუბრისათვის ჩვენ შემთხვევით როდი ავირჩიეთ საგარეჯოს რაიონი. ეს უმშვენიერესი კუთხე დღეს ჩვენს ყურადღებას იქცევს წარმატებებით, რომლებიც სანიმუშოა მთელი რესპუბლიკისათვის. რაიონის მშრომელები, მიუხედავად ხშირი სტიქიური მოვლენებისა, უმკლავდებიან ყველა სიძნელეს და მოწინავეთა შორის არიან.

სოფლის თემა, მისი შესანიშნავი ადამიანების გმირული შრომა მუდამ იყო ქართული მწერლობის შთაგონების წყარო. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართული საბჭოთა ლიტერატურა სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული განახლებულ სოფელთან. და ახლა, როცა ჩვენმა სოფელმა ასე სასიხარულოდ იცვალა სახე, მწერლობას უსაზღვროდ დიდი და მიმზიდველი მასალა აქვს იმ ახალი წიგნების დასაწერად, რომელთა გმირები მისაბაძი იქნებიან ახალგაზრდობისათვის თავიანთი ქცევით, სამშობლოსათვის თავდადებით და მაღალი ზნეობით.

დიდია ქართული მწერლობის როლი და ადგილი ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში, იგი იყო და არის ჩვენი ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარე, — თქვა დასასრულ გ. აბაშიძემ, — ქართული საბჭოთა მწერლობა ამ ძვირფას ტრადიციას დღესაც ღირსეულად განაგრძობს და ამაში მას დიდად ეხმარება ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელიც მუდამ ხალხის ინტერესებით ცხოვრებას შთააგონებს.

მოხსენება „სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები და ქართული მწერლობის ამოცანები ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირის" მიხედვით" გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც სადღეისოდ დგას ქართველი მწერლების წინაშე. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გახშირდა მწერალთა შემოქმედებითი მივლინებები განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტებზე, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. მიმდინარე პლენუმს წინ უსწრებდა მწერალთა მივლინებები ბამზე და ყაზახეთში, ყამირზე და მცირე მიწაზე. დაიწერა ბევრი საყურადღებო ნარკვევი, ლექსი, პუბლიცისტური სტატია. ამასთან აღინიშნა, რომ თანამედროვე სოფლის გმირი ჯერ კიდევ ელის შესაფერ მხატვრულ გადაწყვეტას. ქართველი მწერლების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა შექმნან მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა გმირები იქნებიან ჩვენი სოფლის სახელოვანი ადამიანები.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილების დიდ მნიშვნელობაზე, იმ სისხლხორცეულ ამოცანებზე, რომლებსაც ეს პარტიული დოკუმენტი უსახავს საბჭოთა მწერლებს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა ნ. დუმბაძემ და ჯ. ჩარკვიანმა, მწერლებმა რ. მარგიანმა, რ. ინანიშვილმა, გ. ფანჯიკიძემ, მ. კახიძემ, გ. მერკვილაძემ, თ. ჯანგულაშვილმა, ფ. ხალვაშმა, ლ. სანიკიძემ, ყანდაურელმა მევენახემ ი. ადუაშვილმა. პლენუმის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს ახალგაზრდა მწერლების ვ. ჩხიკვაძისა და ე. ნიჟარაძის გამოსვლები, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ ყამირიდან და ბამიდან, სადაც ისინი შემოქმედებითი მივლინებით იყვნენ.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი.

საგარეჯოს რაიონის მშრომელთა სურვილი გამოხატა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. მეზვრიშვილმა, როცა განაცხადა, რომ კიდევ უფრო უნდა გახშირდეს მხატვრული სიტყვის ოსტატებისა და სოფლის მშრომელების შეხვედრები, რომლებიც სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის, გაამდიდრებს მათ შემოქმედებითს არსენალს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

შემდეგ გამოვიდა გ. აბაშიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა საგარეჯოს რაიონის პარტიულ და საბჭოთა აქტივს, მშრომელებს პლენუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მან ყველა შეკრებილის სახელით დიდი წარმატებები უსურვა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს ლ. ი. ბრეჟნევს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერთან შეხვედრა-მოლაპარაკებაში, რომელიც უკვე დაიწყო ვენაში.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მიმართვა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქართველი მწერლები თავის მოვალეობად მიიჩნევენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხალხის იდეურ-მხატვრულ და ესთეტიკურ აღზრდაში, მისი კულტურული დონის შემდგომ ამაღლებაში, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობის გამოვლენასა და აღზრდაში. ამ მიზნით მწერალთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებს, დიდ მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სასწავლებლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიამაგროს ცნობილი ქართველი მწერლები, რომლებიც დაამყარებენ მათთან შემოქმედებითს ურთიერთკავშირს, შექმნიან ჩვენი საზოგადოების წინსვლის შთამბეჭდავ და შთამაგონებელ მხატვრულ მატიანეს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

* * *

პლენუმის მონაწილე მწერლები იყვნენ სოფელ პატარძეულში, საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, შემდეგ ესტუმრნენ საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივს. აქ სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობას და პედაგოგებს სიტყვით მიმართა გ. აბაშიძემ. სტუმრებს მიესალმნენ პედაგოგი მ. გილაშვილი და მშენებელი მუშა ნ. ხატიაშვილი. შეკრებილთ ლექსები წაუკითხეს პოეტებმა ჯ. ჩარკვიანმა და მ. ფოცხიშვილმა.

პლენუმი დამთავრდა დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოთი, რომელზეც გამართა თავისებური „შეჯიბრება" ხალხურ მთქმელთა და პოეტთა შორის. პოეზიის ჭეშმარიტი მოყვარულები შეხვდნენ ცნობილ პოეტებს, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ლექსები. საღამოში მონაწილეობდნენ ანსამბლები „სოინარი", „ცისფერი ტრიო", საგარეჯოს რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. პაქსაშვილი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVIII ყრილობა გაიხსნება 22 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 20-21 ივნისს ცეკავშირის შენობაში (ვ. ი. ლენინის მოედანი, № 7) დილის 9 საათიდან 22 საათამდე, ხოლო 22 ივნისს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დილის 8 საათიდან.

ცეკავშირის გამგეობა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979-1980 სასწავლო წლისათვის საბიბლიოთეკო და წიგნსაქონელმცოდნეობის განყოფილებებზე

სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია. სწავლება ქართულ ენაზე.

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს მასობრივი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარისა და წიგნსაქონელმცოდნის კვალიფიკაციას.

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, თხზულება), სსრკ ისტორია (ზეპირი).

განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების მოწმობა (დედანი); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, რომელშიაც აღინიშნება გამომუშავების დაწესებული მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. რაიონის კულტურის განყოფილების შუამდგომლობა (საბიბლიოთეკო განყოფილებაზე): ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ.); პასპორტი, დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა უნდა წარმოადგინოთ პირადად.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით (ფურცლით), ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე ისინი, ვინც საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრა; ბ) ის პირები, რომელთაც აქვთ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

განცხადებები მიიღება 1979 წლის 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე,

მისაღები გამოცდები მოეწყობა 12 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით — საერთო წესით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 3-დან 8 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელეფონი 99-82-10.

შენიშვნა: საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში სასწავლებელში შემსვლელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდა.

სასწავლებლის დირექცია.

ექსკურსანტთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია აცხადებს,

რომ მშრომელთა და მოსწავლეთა ექსკურსიების მიღება ტექნიკური მიზეზების გამო შეწყდება ა. წ. 25 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.

რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ



საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

☐ 18 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.50 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ლექცია ბიოლოგიაში (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები „ოჰ, მოდა, მოდა" და „ისევ მოდებზე" (ფ.), 17.35 — მოსწავლეთათვის „კოცონი", 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — „ვესტნიკ" — საინფორმაციო პროგრამა (ფ), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" (თბილისი) — ასკ (როსტოვი). ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.15 — „სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ". განმეორებით (ფ.), 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — მომღერლის გახსენება" — ანა ვარდიაშვილი (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ბოცმანი" (ფ.), „მგზავრი", 17.00 — კინონარკვევი, 17.10 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 17.40 — განცხადებები (ფ.), 17.45 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე". პირველი სერია, 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი.

☐ 19 ივნისი

პირველი პროგრამით: — 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.50 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „სამი მეზობელი" (ფ.), 17.45 — პიონერული ნადნობი", 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — „ადამიანი და გარემო", 18.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საპატიო თავმჯდომარე" (ფ.), 19.15 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „უკრავს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი" (ფ.), 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო" — „უკრაინის განთავისუფლება". ფილმი მეცამეტე (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ევროპის პირველობა კალათბურთში. გადმოცემა იტალიიდან.

მეორე პროგრამით: 15.55 — დოკუმენტური ფილმი „მეზობრის გვერდით", 17.10 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — კინონარკვევი, 18.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე". მეორე სერია.

☐ 20 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.35 — „თქვენთვის, პატარებო!" — „ზღაპარი-გამოცანა" (ფ.), 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — „მხიარული შეჯიბრება" (მონაწილეობენ ცხინვალისა და ჯავის ნორჩი სპორტსმენები (ფ.), 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო დღიური" (ფ.), 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ), 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „გაზაფხული პნომპენში". პრემიერა (მ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „საესტრადო პანორამა" (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა" (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მამაკაცებს ცრემლი არ შეშვენით", 17.10 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — დოკუმენტური ფილმი „ხსოვნა ადამიანთა" (ქართულ ენაზე. ფ.), 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — მხატვრული ფილმი — „პეტრე მარტინის ძე და მისი ცხოვრების წლები".

☐ 21 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ რუსული ენა, 17.35 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩიპი" (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.10 — კონცერტი, 18.45 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ), 23.30 — სატელევიზიო სპექტაკლი — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება" პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა. ფ.), 21.55 — მუსიკალური შესვენება, 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ევროპის პირველობა კალათბურთში. ფინალი (გადმოცემა იტალიიდან).

მეორე პროგრამით: 16.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში". დოკუმენტური ფილმი — „გზის ჰორიზონტები" (ფ.), 17.10 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — კონცერტი, 18.30 — მხატვრული ფილმი — „პრემია". (ფ.).

☐ 22 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — მოსწავლეთათვის — „ცვლა", 18.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „მამისეული ტყე" (ფ.), 18.45 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 19.45 — დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „გარეჯობა", 21.10 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო" — „ბელორუსიის განთავისუფლება". ფილმი მეთოთხმეტე (მ.), 22.00—„ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „დინამო" — თბილისის „დინამო" (მ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „ობლომოვი", 17.40 — ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ხარკოვი" (ფ.), 18.20 — მხატვრული ფილმი „ივანოვების ოჯახი" (ფ.).

☐ 23 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.05 — „ქართული ფილმი" — საიუბილეო კინოჩვენება — მხატვრული ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (ფ.), 12.15 — „ახალგაზრდა ირჩევს პროფესიას", 12.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 13.45 — „ფინალი — — ერთი წლის შემდეგ"... (ფ.), 14.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ), 15.30 — „ფინალი — „ერთი წლის შემდეგ"... (ფ.), 16.55 — „სატელევიზიო მისალები" — სტუდიაში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ქ. ქ. გარდაფხაძე, 17.55 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 18.55 — მუსიკალური შესვენება, 19.00 — „უმაღლეს სასწავლებლებში — მხოლოდ ღირსეულნი" — სამხატვრო აკადემია (ფ.), 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „პარმის სავანე". პირველი სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ეს ესტრადაა". (ფ.).

მეორე პროგრამით: 14.45 — „ბავშვის საერთაშორისო წელი" — მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი". პირველი სერია (ფ.), 15.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — დოკუმენტური ფილმები: „ბუნების ხმები"; „მოხუცი და ტბა" (ფ.), 16.35 — კონცერტი, 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — მხატვრული ფილმი „სიყვარულის მონა" (ფ.).

☐ 24 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (მ.), 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთსა ყვავსა ყვავჩალასა...", 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — ტელეკურსელთათვის— ქართული ენა (ფ.), 11.30 — „ცეროდენას ეკრანი" (ფ.), 11.50 — „კინოაფიშა", 12.20 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ" (ფ.), 13.00 — „მუსიკალური კიოსკი" (მ.), 13.30 — „კინოს მოყვარულთათვის", 15.00 — „ჩვენი სოფელი" — სატელევიზიო პროგრამა, 15.45 — „ქართული ფილმი" — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „გზა მშვიდობისა, ჯაყო", 17.00 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.10 — ეთერშია კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე. „სიმღერა შავნაბადაზე". (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — კინონარკვევი, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.35 — მხატვრული ფილმი „პარმის სავანე". მეორე სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ხალხური პოეზიის საღამო" (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი" — მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი. მეორე სერია (ფ.), 17.05 — „ჩვენი დიადი სამშობლო" — დოკუმენტური ფილმები: „საუბარი მთავარ საკითხზე", „შენი მუშა დამრიგებელი", 18.10 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 19.10 — ქართული მხატვრული ფილმი „პირველი მერცხალი" (ფ.).

ტელევიზია

16 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.50 — „დილის ვარჯიში (მ.), 10.15 — „ხელმარჯვე ოსტატები" (მ)., 10.45 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.15 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 11.45 — დოკუმენტური ფილმი, 11.55 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება" (განმეორებით. ფ.), 12.35 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.05 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 13.35 — ბავშვებისათვის სპორტული საცირკო პროგრამა (მ.), 14.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.10 — „ქართული ფილმი" — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე". პირველი სერია, 16.20— „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 17.05 — „ქართული ფილმი" — საიუბილეო კინოჩვენება". მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე". მეორე სერია, 18.10 — „მწერალი და ცხოვრება", ტ. მებურიშვილი. 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გვეძებეთ მთებში", 19.40 — სატელევიზიო მისალების ფოსტა", 20.40 — სატელევიზიო ნარკვევი „დედა" (განმეორებით. ფ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულახდილობას" — „შესანიშნავი შვიდეული" (ფ.).

მეორე პროგრამით: 13.50 — „ჩვენს დიად ქვეყანაში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ოცნების კუნძული", „კომკავშირული დავალება", 14.30 — „გლობუსი" (ფ.), 15.15 — კონცერტი, 15.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კლავა ივანოვას შესახებ" (ფ.).

თეატრი

16 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **კონცერტი**; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თავისუფალი თემა**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ბუდე მეცხრე სართულზე**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიყვარულის მგონანი ვარ...**; კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — **ესმერალდა**.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივები იუწყებიან, რომ მოულოდნელად 68 წლისა გარდაიცვალა ვაჭრობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

შალვა ილიას ძე საბანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უნიკალური საჩუქარი

საბჭოთა მთავრობამ ნიუ-იორკის უნივერსიტეტს უძღვნა

ზურაბ წერეთლის სკულპტურული კომპოზიციები

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. (საქდესის კორ.). ნიუ-იორკის შტატის ბროკპორტის საქალაქო კოლეჯის შენობის წინ დაიწყეს მოედნების მომზადება, სადაც დაიდგმება საბჭოთა მონუმენტალისტი-მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზ. კ. წერეთლის სკულპტურული კომპოზიციები. მისი ნამუშევრები საბჭოთა მთავრობამ საჩუქრად უძღვნა ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტს.

ფრიად საინტერესოა ამ საჩუქრის ისტორია, რომელიც ასახავს ღრმა ინტერესს, აქ რომ იჩენენ საბჭოთა ხელოვნებისა და მისი მოღვაწეებისადმი. ამერიკის უნივერსიტეტისათვის საბჭოთა ხელოვნების ნაწარმოებების გადაცემა კეთილშობილური და ჰუმანური აქტია.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ზ. კ. წერეთლის ნამუშევრების რეპროდუქციათა ალბომი. ალბომი ხელში ჩაუვარდა უნივერსიტეტის სამხატვრო კოლეჯის სტუდენტებს, რომლებზეც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მათთვის უცნობი ხელოვანის ნაწარმოებებმა, სტილმა და ფანტაზიამ. ისინი ფართო განხილვის საგანი, მერე კი მიბაძვის ობიექტი გახდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა სტუდენტთა ინტერესი და გადაწყვიტა ქართველი მხატვარი მასწავლებლად მიეწვია. ახლა მას ბროკპორტში ბევრი მოწაფე და მიმდევარი ჰყავს.

უნივერსიტეტის სტადიონზე ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა ბავშვთა სპორტული ოლიმპიადები, რომლებსაც ატარებს და აფინანსებს ჯოზეფ კენედის ხსოვნის ფონდი. ფონდის ხელმძღვანელობა გაეცნო ზ. კ. წერეთლის ნამუშევრებს და მიიწვია იგი ბავშვთა სპორტული დღესასწაულის გაფორმებაში მონაწილეობის მისაღებად. ხელოვანის ესკიზები და წინადადებანი მოიწონეს და მაღალი შეფასება მისცეს. მხატვარი შეუდგა მუშაობას თავის სახელოსნოში. ლენინგრადში წერეთლისეული კომპოზიციების კონსტრუქციები გემზე დატვირთეს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩავიდა ნიუ-იორკის ნავსადგურში.

რას წარმოადგენს ეს ნამუშევრები? ერთი მათგანი ეძღვნება ბავშვის საერთაშორისო წელს, საერთოდ მსოფლიოს ბავშვებს. წითელი გრანიტით მოპირკეთებული მრგვალი პლატფორმის შუაგულში შადრევანი ამოჩქეფს. მას წრიულად გასდევს 9 მეტრამდე სიმაღლის ხუთი ერთნაირი ფორმის ვერტიკალური ელემენტი, რომელიც ფურცლოვანი ფოლადის რელიეფებით არის დაფარული. ფორმით ისინი ბავშვთა სილუეტებს წააგავს, და მთელი კომპოზიცია გამოსახავს ხუთი კონტინენტის ბავშვთა ფერხულს.

მეორე ნამუშევარი — „პრომეთე" მხატვარმა მიუძღვნა მთელი მსოფლიოს სტუდენტებს, ახალგაზრდებს. ფორმით იგი წააგავს ხეს შემეცნებისას, ხეს სიცოცხლისას. „ხის" ტანში ჩაწნულია სიმბოლური ელემენტები — ლიტერები, ატომის მოდელები, დროის, ფლორისა და ფაუნის, ადამიანის სულიერი და მატერიალური სამყაროს სიმბოლოები.

ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტმა დიდი მადლიერებით მიიღო საბჭოთა მთავრობის უნიკალური საჩუქარი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ჯ. ი. კენედის ფონდის ხელმძღვანელობამ გამოუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ვინაიდან 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული, თქვენი საჩუქარი განსაკუთრებით ძვირფასია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი კონკრეტული და კეთილშობილური გამოხატულებაა თქვენი პირადი მონაწილეობისა და მოწმობს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენ ახალგაზრდების როლს ჩვენი სამყაროს მომავალში".

ვ. ვასილეცი.

მდგომარეობა ნიკარაგუაში

სან-ხოსე, 14 ივნისი. (საქდესი). სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გაერთიანებული სარდლობის მოწოდების პასუხად მანაგუაში ჩამოდის აჯანყებულთა სულ ახალი და ახალი რაზმები, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ სომოსას რეჟიმს.

ფრანგული გაზეთის „ფიგაროს" აზრით, „სომოსას დიქტატურა აგონიაშია". შეერთებული შტატები, წერს იგი, შეშფოთებულია იმით, რომ ნიკარაგუას საყოველთაო-სახალხო აჯანყება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ცენტრალური ამერიკის პოლიტიკურ ვითარებაზე.

ამაღელვებელი შეკრება

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმო განწყობილება სუფევდა. აქ შეიკრიბნენ საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები, მათი მწვრთნელები, კომორგები, სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრები. სპორტსმენთა შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. შარტავა,** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე **რ. ღლონტი.**

შეკრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის უახლოეს ამოცანებს, გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ.**

ქართული სპორტის ვეტერანებს, წარსულში სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს **მ. ჯუღელს, ე. გოკიელს, ვ. სვეტილკოს, დ. შანიძეს** და **ო. ქორქიას** შემოაქვთ საქართველოს სპორტკომიტეტის დროშა.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ჯაიანმა,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. ორჯონიკიძემ,** თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა **ნ. ახალკაცმა,** დინამოელთა კომორგმა, ფეხბურთელმა **ა. ჩივაძემ, ნ. დუმბაძემ, ე. გოკიელმა, ვ. სვეტილკომ...** დამსწრეთ ესაუბრნენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში **ნ. გაფრინდაშვილი,** არმიელ სპორტსმენთა წარმომადგენელი **ვ. პრუსაკოვი,** პოეტი **ე. ნიჟარაძე** და სხვები. შეკრებაზე ილაპარაკეს იმ დიდმნიშვნელოვან და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც საქართველოს სპორტსმენთა წინაშე დგას, იმაზე, რომ მათ თავდადებით უნდა იბრძოლონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის.

საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე ოცი დღე დარჩა. ყველაზე ადრე — 5 ივლისს ასპარეზობაში ჩაებმებიან ჩოგბურთელები. დგება გადამწყვეტი დღეები. სწორედ ამ დიდი შეჯიბრების ფინალურ შეხვედრებში გამოჩნდება ვინ როგორ მოემზადა, ვინ როგორ ისახელა თავი.

მართლაც სიმბოლური და ამაღელვებელი იყო ის მომენტი, როცა **ნ. დუმბაძემ, ე. გოკიელმა, ვ. სვეტილკომ, ო. ქორქიამ** და სხვებმა საქართველოს სპორტკომიტეტის დროშა საზეიმოდ გადასცეს წლევანდელი სპარტაკიადის მონაწილე დელეგაციის სახელოვან წარმომადგენლებს **ნ. გაფრინდაშვილს, დ. კვაჭაძეს, ა. ჩივაძეს, მ. ალიაკრინსკაიას...**

მაშ ასე, დადგა ჯერი იმისა, რომ საქართველოს სპორტსმენთა ახალმა თაობამ რესპუბლიკის სპორტული დიდება კიდევ უფრო გაამდიდროს, ჯეროვნად დაიცვას რესპუბლიკის დროშის ღირსება და ახალი წარმატებები მოიპოვოს.

საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენთა უმთავრეს ასპარეზობაში ლელოს გატანას, ახალ გამარჯვებებსა და წარმატებებს გისურვებთ, სპორტსმენებო!

ჯ. ენუქიძე.

* * *

სურათზე: სპორტის ვეტერანები დროშას გადასცემენ იმათ, ვინც წლევანდელ სპარტაკიადაში უნდა დაიცვას რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

ჯ. კასრაძის ფოტო.

ყაბახი

ყველას აჯობა

მინსკში გაიმართა ჩოგბურთელთა მესამე ტრადიციული ტურნირი სსრ კავშირის გმირის ა. გრომოვის პრიზზე. კორტებზე კვლავ გამოჩნდა თბილისელი **ა. მეტრეველი,** რომელსაც ტრამვის გამო კარგა ხანია არ უასპარეზია. ფინალში მისი მეტოქე იყო 19 წლის სერგი ლეონიუკი (მინსკი). ახალგაზრდა სპორტსმენი თავდაპირველად დაწინაურდა — 3:0, 4:2, მაგრამ ეს იყო და ეს. ამის მერე მეტრეველმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა მეტოქეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 6:4, 6:3, 6:1. ქალთა ერთეულებში უძლიერესი იყო მინსკელი **ნ. ბოროდინა.**

ჩემპიონები დაამარცხეს

ტურინში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის მორიგი ეტაპი — ნახევარფინალური ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს. საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 96:77 (41:34). ამ დღის ისრაელის კალათბურთელებმა მოუგეს ესპანელებს — 88:84 (41:42).

ამჟამად გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ისრაელის ნაკრებს ნახევარფინალური ტურნირის სამ მატჩში 2 მოგება და ერთი წაგება აქვს. ორ-ორი შეხვედრის მერე თითო მოგება და თითო წაგება აქვთ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და ესპანეთის კოლექტივებს. იუგოსლავებმა სამი მატჩიდან მხოლოდ 1 შეხვედრა მოიგეს.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07196 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17